მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2013 წლის 14 იანვარი

დ. მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' მესტიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის 2 მაისის №–11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის და ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 2 მაისის №–11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 08/05/2012 სარეგისტრაციო კოდი: 280120000.35.103.016053).

1. **მე-4 მუხლის მეხუთე პუნქტში** ამოღებულ იქნეს **„ე“ ქვეპუნქტი.**
2. **მე-4 მუხლის მეხუთე პუნქტში „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.
3. **მე-4 მუხლის მეხუთე პუნქტში** დაემატოს **„თ“ ქვეპუნქტი.**
4. **მე-4 მუხლის მეექვსე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტ**ი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

მუხლი 4

5. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ:

ბ) მარჩენალდაკარგულ ოჯახებსა და ინვალიდ ბავშვებზე –**100 (ასი)** ლარი;

ზ) I-ჯგ. ინვალიდებზე —**100 (ასი)** ლარი;

თ) გაჭირვებულ ოჯახების ერთჯერადი დახმარება განისაზღვროს არანაკლებ **100 (ასი**) ლარი და არაუმეტეს **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით.

სოციალური სუბსიდიების სააგენტოში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების გაწევაზე, ერთჯერადი ფულადი დახმარების განსაზღვრაზე, განცხადებებს განიხილავს სოციალური დახმარების გაცემის კომისია.

6. ამბულატორიების, პოლიკლინიკების და საავადმყოფოების პროგრამების ფარგლებში:

ა) სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ–ფაქტურის შესაბამისად, არაუმეტეს **30%** –ის ოდენობით.

მუხლი 2

დადგენილება გამოქვეყნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა ხორგუანი**